№ 220. ორშაბათი, 9 ივნისი.

1896—1897

ორშაბათი, 9 ივნისი № 220.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

პირველ ივნისიდგან გაზეთი

წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ოთხი |4| მანათი.

ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენ განვიზრახეთ ცნობილ რუსს ე. ვოდოვოზოვის თხზულება

«როგორ ცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე»

(ინგლისელები, იტალიელები და გერმანელები)

ქართულად ვთარგმნოთ და დავსტამბოთ.

ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ეს სასარგებლო წიგნი ქართველ საზოგადოებაში გავრცელდეს. ამიტომ, ჩვენ განვიზრახეთ წინ-და-წინ ხელის-მოწერით შევაგროვოთ მის გამოცემისათვის საჭირო ფული.

წიგნი სამ ტომად გამოვა, ექნება 600 გვერდამდე, 18—30-მდე სურათები და ეღირება 1 მანათი და 20 კაპ.

ვინც წინდაწინ შემოიტანს ფულს, წიგნი დაეთმობა მანათად.

გამოცემას ჰკისრულობს ამხანაგობა „გლეხი“.

ხელის-მოწერა მიიღება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში—ბ-ნ ზაქ. ჭიჭინაძესთან; გორში—ექვთიმე კოპლატაძესთან; ხაშურში—სტეფანე ნოზაძესთან; ჭიათურაში—ერმალოზ კიწმარეიშვილთან და გერასიმე ბერიძესთან; საჩხერეში—იასონ ლამბაშიძესთან; შორაპანში—ილიკო ნადირაძესთან; ზესტაფონში—ილია მაღლაკელიძესთან, ვანო არდიშვილთან და ტრიფონ ნიორაძესთან; ოზურგეთში—ლადიკო ჩხაიძესთან; ქუთაისში—თეოფილე ხუსკივაძესთან, ბეჟანეიშვილისა და ჭილაძის წიგნის მაღაზიეში და მიტროფანე ლაღიძესთან; ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ბათომში—მიხეილ გაჩეჩილაძესთან; სოხუმში—მამა ბესარიონ ხელაიასთან და ყარპეზ წეროძესთან; გუდაუთში—ბაგრატ მჭედლიძესთან; ნოვოროსისკში—სილოვან კალანდაძესთან და სხვაგან ყველა წიგნის მაღაზიებში.

პირდაპირ ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: **Батумъ, Михалу Гачечиладзе.**

(30—9)

მიიღება ხელის-მოწერა

რუსულ-ქართულ

სრულ ლექსიკონზე.

მოხსენებულს ლექსიკონში ჩვენ შევიტანთ ყოველ სიტყვას, რომელიც-კი მოიპოვება უკანასკნელს ხანებში გამოსულს რუსულს ენციკლოპედიურს ლექსიკონებში, იმ თვალ-საჩინო განსხვავებით, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობები გაცილებით უფრო ვრცლად იქნება განმარტებული. ლექსიკონი გამოვა რამდენიმე წიგნად (დაახლოვებით ექვს წიგნად; ამათში ერთი უკანასკნელი, იქნება **ქართულ-რუსული**, რომელშიაც ავხსნით თვით ჩვენს ლექსიკონში ნახმარ ქართულ სიტყვებს) და ეღირება: **ორ-ორი წიგნი ხუთი მანათი გაგზავნით** (თითო წიგნი იქნება 400—500 გვერდი, ე. ი. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონისოდენა, რომელიც იყიდებოდა 3 მან. 60 კაპ.). პირველი წიგნი გამოვა ამ შემოდგომაზე; მსურველს შეუძლიან **სამი მანათი** ეხლა შემოიტანოს, ხოლო დანარჩენი **ორი** მანათი პირველი წიგნის მიღების შემდეგ. სანიმუშოდ ჩვენ უკვე დავბეჭდეთ პირველი ფორმა ამ ლექსიკონისა და შეგვიძლიან გავუგზავნოთ მუქთად ყველას, ვინც მოითხოვს. თუ ვინმე როდისმე ცდილა ქართული ტერმინების შემუშავებას, ვსთხოვთ თავიანთი შრომა გამოგვიგზავნონ და ვენც დიდის სიამოვნებით შევიტანთ მათ მოხსენებულს ლექსიკონში.

ჩვენი ადრესი: ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

(15—7)

ივანე როსტომაშვილი.

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია საჭირო მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

◆ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◆

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბ ა თ ო მ შ ი.

მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: **Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, или Очемчиры, Теймуразу Чачава.**

(300—115)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდნევა 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ზ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია.

(წ.)

ახალი ამბავი

⁂ **ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის.** 189⁶/₇ წლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ წლის განმავლობაში სულ 408 შეგირდი ყოფილა სკოლაში, მათ შორის თავადი და აზნაური—278, სასულიერო წოდებისა—34, გლეხი—74, უცხოელი—1; მართლ-მადიდებელი—402, სომეხ-გრიგორიანი—2, კათოლიკე—3, და მაჰმადიანი—1.

მომავალ წლიდამ გაიხსნება სასწავლებელში მეექვსე კლასიც, რომელშიაც გადაყვანილ იქმნებიან მეხუთე კლასიდამ 11 შეგირდი.

⁂ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წლიური კრების გამო.** რადგან სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი უგან. თავ. პეტრე ალექსანდრესძე გრუზინსკი სამსახურისა გამო მიემგზავრება განჯის გუბერნიაში—ამიტომ წლიური კრება „სამეურნეო საზოგადოებისა“ მოხდება მისის დაბრუნების შემდეგ, შემოდგომაზე.

⁂ **ახალი დანიშნულება.** გარდაცვალებულის დეისტ. სტატ. სოვეტნიკის ა. ს. გამრეკელის მაგიერად დაუნიშნავთ ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა მმართველად ბ. სელივანოვი, რომელსაც ასეთივე ალაგი ეჭირა ყუბანის ოლქში.

წმ. ნინოს სასწავლებელში კურს-დამთავრებულები. წლეულ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში კურსი დაამთავრეს 35 ქალმა. მათს შორის 19 რუსია, 9 ქართველი, 5 სომეხი, 1 გერმანელი და 1 პოლონელი. აღვნიშნავთ ქართველების გვარებსა: გურგენიძე ვერა, ელენე თავადის თარხნიშვილის ასული, თავადის სიდამონ-ერისთავის ასული, ნინა ამილახვრისა, ყიფიანისა ბარბარე, რცხილაძისა ნინო, სიმონაშვილისა ნადეჟდა, ნინო თავადი ბარათაშვილის ასული, ჩიკოიძისა გაიანე, მათს შორის ოქროს ჯვრები მიიღეს: ელენე თარხნიშვილისამ და ვერა გურგენიძისამ; ვერცხლის ჯვარი—სიდამონ-ერისთვის ასულმა. გათავების ატესტატები დაურიგეს: ნინა ამილახვრისას, ბარბარე ყიფიანისას, ნინო რცხილაძისას, ნადეჟდა სიმონაშვილისას, ნინო ბარათაშვილისას და გაიანე ჩიკოიძისას.

⁂ **თავ. დიასამიძის საქმე.** დღეს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს თავ. ნიკოლოზ დიასამიძის საქმეს, რომლითაც მას ჰბრალდება გაზ. „ნოვ. ობოზ.“ რედაქტორის თ. ვ. მ. თუმანიშვილის შეურაცხყოფა; ბრალდებულს დაიცავს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ი. ს. ჯაბადარი, ხოლო თავ. თუმანიშვილის ინტერესების დამცველად ნაფიცი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი იქნება. ამ საქმეზე 23 მოწმე დაბარებული.

⁂ **რას მოვახმაროთ ქობულეთის ფონდი.** (წერილი წერა-კითხვის საზოგადოების საყურადღებოდ) სოფელ ქობულეთსა და ქედას ჰქონდა აქა-იქიდგან შეგროვილი პატარა ფონდები: პირველს 311 მან. 10 კაპ. და მეორეს 51 მან. 52 კაპ. ეს ფონდები მომავალ სკოლების სახელობაზედ შეგროვილი იყო, რომელიც თხოვნასთან ერთად წერა-კითხვის საზოგადოებასთან მიმართული იყო, რათა ამ ხსენებულ სოფელ-დაბებში საზოგადოებას თვისის სახელით გაეხსნა სკოლები.

წერა-კითხვის საზოგადოებამ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო ვერ აასრულა ასეთი თხოვნები და ამისათვის ამა წლიურს ანგარიშზედ კრებამ გადასწყვიტა შემდეგი: რომ ეს ფულები მიემატოს საზოგადოების თავნს და გამგეობამ მოახმაროს იგი ქობულეთის და ქედის მცხოვრებთა შვილების აღსაზრდელად საზოგადოებას ბათომის სკოლაშიო.

ეს აზრი მეტად ჩინებულია, მაგრამ უწარჩინებულესი-კი იქნებოდა ქობულეთის ფულებისთვის სხვა საუკეთესო დანიშნულება მიეცათ, იმნაირი, რომელიც მართლა დიდს საჭიროებას შეადგენდა ქობულეთლებისთვის.

დღეს, ქობულეთმა თავისი საკუთარი მშვენიერი სკოლა გაიმართა და გამოიწყო, რომელიც მართლა და დიდ სარგებლობას მოუტანს ადგილობრივ მცხოვრებლებს, თუ რომ დედა-ენას საყოფს შეასწავლიან პატარა ქართველ-მაჰმადიანებს. ეს თუ ასე შესრულდება, უსკოლობას ვეღარ შეამჩნევს კაცი; ხოლო ერთი რამ იქნება მოსაკითხი აქ, რომელიც არის წიგნთ-საცავი, ურომლისოდ დ. ქობულეთს არა-რა მნიშვნელობა ექნება გონებრივი საზრდოდაპურების მხრივ.

წიგნთ-საცავი აქ ერთად ერთს უკვდავ ნივთიერებას შეადგენს ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის, მით უმეტეს, რომ აქაური ვაჭარ-ხელოსნები, რომელნიც უფრო გურულებს შეადგენენ, (ეს წერა-კითხვის მოყვარული ხალხი) თავიანთი გულ-წრფელი წიგნების კითხვით წააქეზებენ და შეაყვარებენ ადგილობრივ მკვიდრთ, და ისინიც მეზობლების წახედულობით, მართლა შეიყვარებენ კითხვას და მათ გონებრივ მსვლელობას მიეცემა ბიძგი წინ სვლისა, მათვე ცხოვრებაში გამოსაყენებლად და დიალაც ექნება ფრიად სასარგებლო შედეგიც.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წერა-კითხვის საზოგადოება ამ ფრიად სასარგებლო აზრს მიიღებს მხედველობაში და ამ მოკლე ხანშიაც შეუდგება სახალხო უფასო წიგნთსაცავის დაარსებას დაბა ქობულეთში. აქავე აღვნიშნავ, რომ ამავე ქობულეთის მომავალ სახალხო უფასო

წიგნთ-საცავის სასარგებლოთ, რამდენიმე ცალი ქართული წიგნაკი ინახება ჩემთან, რომლებიც კი ხნიდგან მოგროვილია და შემოწირულია საკუთრივ ამის სახელობაზედ.

მესხი კ. გვარამაძე.

*⁎ **მადლობის გამოცხადება შეწირულებისათვის.** ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის შემწეობით, დიდი მადლობა გამოვუცხადო ჩემი მრევლითურთ ბ. ლევ. სტეფანეს ძე სტალინსკის და მათ მეუღლეს ელისაბედ ზურაბის ასულს, რომელთაც ჩემდა რწმუნებულს ვეჯინის წმ. გიორგის შტატის ეკკლესიას შემოსწირეს ვერცხლის ბარძიმფეშხუმი თავის გაწყობილობით ოქროში დაფერილები. აგრეთვე დიდ მადლობას ვუძღვნით მ. მღვდელმონაზონს დიმიტრი აბაშიძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემს ეკკლესიას მშვენიერი გარდამოხსნა. არ იქნება ურიგო, სხვებსაც მიებაძნათ ამ პატიოსან პირებისთვის და ჩემი ეკკლესიის ნაკლულევანება შაემსოთ. თუ ვინმე ყურადღებას მიაქცევს და შესამოსს შემოსწირავს, დიდად დაუმადლებთ.

ვეჯინის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი
თომა ასათიანი.

*⁎ **ოზურგეთი. ქართულ სიმღერა-გალობის საქმე გურიაში.** რადგანც ბევრი ჩვენი მოძმენი შორის კუთხეებიდგან გვაწვდიან თავიანთ წვლილს ჩვენ საერთო საქმეში დასახმარებლად, ამიტომ ზნეობრივ ვალდებულებად ვსთვლით, რომ დრო-გამოშვებით ვამცნოთ ჩვენს შორეულს თანამგრძნობლებს მდგომარეობა ჩვენგან აღნიშნულის საერთო საქმისა. როგორც მოეხსენება მკითხველ საზოგადოებას, ოზურგეთში დაარსებულია კომიტეტი, რომლის მიზანია მოიპოვოს საშუალება და დახმარება აღმოუჩინოს ჩვენებურ სიმღერა-გალობის ნოტების შემწეობით ხალხში გავცელებას. ამ მიზნით, როგორც მოწოდებითი წერილის შინაარსიდგან სჩანდა, დაევალა ჩვენს დაუღალავს შრომელს და გალობა-სიმღერის მცოდნეს ბ-ნს ფილიმონ ქორიძეს, ნოტები შეესწავლებინა სოფლის ხალხისათვის და ლოტბარები მოემზადებინა ჩვენებური გალობ-სიმღერების საქმის სამუდამოდ დასაფუძვნებლად. ამ აზრით ბ. ფილიმონ ქორიძემ ოზურგეთში უკვე დაამთავრა თავის შრომა: მოამზადა ლოტბარები, შეასწავლა მათ საეკკლესიო და საერო სიმღერები.

ამ ჟამად ბ. ფილიმონ ქორიძე ამავე მიზნით გაემგზავრა სადგურ სუფსაზედ, სადაც შეკრებილი ჰყავს 20—25 ჩვენებური სხვა-და-სხვა სოფლის ყმაწვილები, რომელთაც ბეჯითათ ასწავლის ნოტების საშუალებით, გალობა-სიმღერებს და ამზადებს ლოტბარებათ. ამასთანავე, ფილიმონ ქორიძე თავისუფალ დროზედ იწერს გურიელებიდგან და სხვა ძველებური ჩვენებური გალობა სიმღერების მცოდნეთაგან საჭირო მასალებს ნოტებზედ გასაღებათ. ამნაირად, ჩვენებური სიმღერა-გალობის დაფუძვნების საქმე სასურველადვე მიდის გურიაში.

*⁎ **ქ. ოზურგეთი.** მეხთ მოგლული. 3 ივნისს, შვიდ ვერსზედ ოზურგეთიდგან, ყანაში მუშაობდენ ხუთი კაცი, ამ დროს საშინელი კოკის პირული წვიმა და ნიაღვარი მოასკდა და თან მოჰყვა ელვა-ჭექა. მაშინვე დაეთხოვენ მუშაობას და შევიდნენ კარავში, კაკლის ხის ქვეშ, უცებ ჩამოვარდა მეხი და ერთი იმათგანი მაშინვე მოჰკლა, დანარჩენებიც-კი, თურმე, ძლიერ დაშავდნენ.

დ. ქარცივაძე.

*⁎ **იმერეთი. სოფლის მასწავლებლების გაჭირვება—ზოგი ერთი მამასახლისების დახსნება.** ყველას, ვისაც კი მათზე გული შესტკივა, მოეხსენება, რა გაჭირვებაში არიან სოფლის მასწავლებლები. მათი თვიური ჯამაგირი არ აღემატება 15—25 მანათს. ამ ფულით ზოგიერთმა მთელი ოჯახი უნდა არჩინოს, მაგრამ წარმოიდგინეთ იმ მასწავლებლის მდგომარეობა, რომელიც ხუთი-ექვს თვეობით სადღაც შორეულ სოფელში, სადაც ერთი ნაცნობ-ნათესავიც არ გააჩნია, ვერ იღებს ჯამაგირს. რა ენერგიულათ უნდა იმეცადინოს ასეთმა მასწავლებელმა? მისთვის ყველა წამში საფიქრელათ გამხდარა, ვისგან ისესხოს ფული, თუ გინდ 100%-ც მისცეს სარგებლათ, რომ შიმშილით არ მოკვდეს, მაგრამ მათი ასეთი გაჭირვება ბევრს დალხინებათ უხდება. აი, აქ მსურს მოვიყვანო ერთი სამწუხარო და მასთან სასაცილო მაგალითი, რომელიც მიამბო ერთმა ჩემმა ნაცნობ მასწავლებელთაგანმა:

„ექვსი თვე გავიდა, ერთი კაპიკი ჯამაგირი არ მიმიღია; დღე-მუდამ ვევედრებოდი მამასახლისს, შესულიყო ჩემს მდგომარეობაში და მოეკრიფა ფული, მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყდა. ბოლოს, როდესაც ძლიერ გამიჭირდა, აღვუთქვი გასამრჯელოთ ორი თუმანი მიმეცა, თუ სრულიად შემიკრეფდა. მამასახლისი მარტო სიტყვას არ დამჯერდა და პირობა მომთხოვა. მეც მივეცი პირობა, მაგრამ აი როგორი: ჩავწერე შიგ: თუ ერთის კვირის განმავლობაში ექვსის თვის ჯამაგირს მთლად შემიკრებ, მე №№ ვალდებული ვარ, მოგცე გასამრჯელო ორი თუმანი. ეს პირობა რომ უფრო ძლიერი ყოფილიყო, მასვე, მამასახლისს, დავაკვრევინე ზედ ბეჭედი. (აი, ასეთი მცოდნენი არიან ჩვენში მამასახლისები! ბეჭედს კი დააკრავენ, სადაც მიუთითებთ, და რისთვის-კი არ იციან.) არ გასულა ამას შემდეგ ორი დღე, მამასახლისმა მთელი ექვსი თვის ჯამაგირი ჩამაბარა და, რასაკვირველია, პირობის ძალით დამიწყო გასამრჯელოს თხოვნაო“. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მასწავლებელმა გამოართვა ეს პირობა და ბოქაულს წარუდგინა. მან სრულიად მოურიდებლათ ახადა ჯაჭვი და ციხეშიაც ჩაბრძანა.

ნეტავი, როდის გაუმჯობესდება ან მასწავლებლების ასეთი მდგომარეობა, ან თუ ოდესმე მოელება ბოლო ზოგიერთ უვიც მამასახლისების ასეთს უსვინდისობას! მე მგონია, არასოდეს, თუ მასწავლებლებმა თვითონ იზრუნეს თავიანთ თავზე. თავიანთ თავზე, რასაკვირველია, ისინიც ზრუნავენ, მაგრამ მატო თავისი „მე“-კი არ უნდა ახსოვდეთ: თითოეული მათგანი უნდა ზრუნავდეს ყველას კეთილდღეობისათვის და ყველა ერთისთვის. მაშინ ცოტათი მაინც გააუმჯობესებენ ეხლანდელ მდგომარეობას. საქმე ის გახლავსთ, თუ ზოგიერთი მასწავლებელი თავის დროზე ღებულობს ჯამაგირს, ან თუ უფროსი კერძოთ მას კარგათ უყურებს, ე. ი. თუ თვითონ მაძღარია,—მოძმის შიმშილს ვერ ტყობილობს (უფრო-კი არ ტყობილობს). დანარჩენები ბევრსაც რომ ეცადნენ, მარტო რას გახდებიან!?. ისევ მათ გაამტყუვნებს მთავრობა, უთუოდ, თქვენ ყოფილხართ დამნაშავე, თორემ სხვები თუ კი იღებენ თავიანთს დროზე, თქვენ რა დაგემართათო. ამიტომ, სასურველია მასწავლებლებს მოეხდინათ, თუ შეიძლებოდა, საზოგადო კრება, თუ არა და—თითო მაზრის მასწავლებლები ცალ-ცალკე შეკრებილიყვნენ, კარგად გაეთვალისწინებინათ ეხლანდელი და მომავალი მათი მდგომარეობა, და ყველას ეთხოვნა ასეთის უკიდურესის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამხანაგი.

*⁎ **ს. ყარაძლისი** (გუმბრის მაზრა). **ტუსაღების გაქცევა ციხიდამ.** ამ თვის ორს, საღამოს 7 საათზედ, ციხის უფროსმა და მისმა თანაშემწემ ნება მისცეს ტუსაღებს კარში გამოსვლისა და თვითონ წავიდნენ სასეირნოდ. გამოშვების დროს ორმა თათარმა, კაცის მკვლელებმა, ისარგებლეს ამ შემთხვევით და გაიქცნენ; ერთმა ტუსაღმა თან გაიყოლა კედელზედ ჩამოკიდებული სახელმწიფო რევოლვერი. ყარაულებმა მაშინვე შეიტყვეს და გამოუდგნენ, მაგრამ იმ დროს მომავალმა უფროსის თანაშემწემ დაუძახა ყარაულებსა და ხალხს: არ მიხვიდეთ ახლოს, თორემ რევოლვერი უჭირავს და გესვრისთო. მართლაც, გაქცეულმა ტუსაღმა გაისროლა რევოლვერი ხალხის შესაშინებლად და დაიძახა: არავინ მოხვიდეთ ახლოს, თორემ დაგხოცავთო. ამით შეშინებული ხალხი უკან დაბრუნდა და ტუსაღმა-კი თავს უშველა და დაიმალა სოფელში. მის დასაჭერად ბ-ნი ბოქაული, კუჩემბანი ჩაფრებითა და უცხო ხალხით არის წასული იმის შესაპყრობად. მეორე ტუსაღი-კი შეიპყრეს.

აქ საშინელი ავადმყოფობა არის, მეტადრე სახადი მოიჯარადრეების ნაწილებში. მუშაობა ყარსის რკინის გზაზე მძიმედ მიდის, თუმცა-კი მოიჯარადრეებმა უნდა გაათავონ ენკენისთვის ნახევარში.

*⁎ **სოფ. ქოდალო.** (სიღ. მაზ.) **ვირის წანახედი.** სანამ ჩვენს სოფელში დაარსდებოდა „სუდი“, როგორც ჩვენში, ისე ახლო-მახლო უკანა მხრის სოფლებში, არც-კი იცოდნენ „სუდი“ რა იყო; ან ერთმანეთზედ საჩივარი როგორ მოეხსენებინათ-რაც გინდ დიდათ დაეშავებინათ ერთი ერთმანეთისთვის, მაინც ისევ შინაურულად მოშველდებოდნენ ხოლმე, მაგრამ რაც-კი ეს სასამართლო დაარსდა, ჩვენი ხალხი სულ გამოიცვალა, ვინც ჩივილი არ იცოდა, ეხლა ისწავლა, წარა-მარა სულ უბრალო საქმეზედ „სუდში“ გარბიან საჩივლელათ, იქაც დამრიგებლები და არზის დამწერნი ბევრნი არიან—დაუწერენ არზას და მიაცემინებენ და ადვოკატადაც თვით ის უდგებიან....16 მაისს ჩვენ შემთხვევით დაესწარით ქოდალოს სასამართლოში და ბევრი საცინარ-სატირალი ამბები მოვისმინეთ. ერთი გლეხი უჩიოდა მეორეს, რომ დიდი შეურაცხყოფა მომაყენა, სოფელში „ამოსავარდნელი“ დამიძახაო. რათა ვარ „ამოსავარდნელი“, დამიმტკიცოსო? ერთიცა სჩიოდა: ჩვენ, სოფელმა, ამოგირჩიეთ, კაცი გვეგონე და კაცი არა ჰყოფილხარო! ბატონო სუდიავ, გთხოვთ დამიმტკიცოს, რათ არა ვარ კაცი, ჩვენ სოფელში ვიზე რა ნაკლები კაცი შვილი მე მნახესო?.... მესამე უფრო მეტად შემაძრწუნებელი საჩივარი იყო, რომელიც ბოლოს უბედურობით გათავდა. ერთი სიღნაღელი ვიღაც მ—ძე უჩიოდა სოფ. ვეჯინის მღვდელს მ. ასათიანს, რომ მისმა ვირმა ვენახი გამიფუჭა, ზარალი ექვსი თუმნისა მომცაო. თან მოეყვანა მოწმეები, რომლებიც უმტკიცებდნენ ამასა. მ. ასათიანს რომ გაეგო მ-ძის საჩივარი, სიცილი დაეწყო, ჰგონებოდა ხუმრობით მიჩივისო; მაგრამ რიღას ხუმრობა-ღა იყო, მ—მ უკვე გადააწყვეტინა სასამართლოს ექვსი თუმნის ზარალი, გამოიტანა ფურცელი და იქვე მეღუქნეებს, რომლებიც ხან ადვოკატობენ და ხან ჩარჩობენ, მიჰყიდა ოთხ თუმნად თავის მოწმეებით კარგათაც იქეიფა და მეღუქნეებსაც უთხრა, რომ მღვდლიდგან, ასათიანიდგან ექვს თუმანს აიღებენ და ორი თუმანი მოგება დარჩებათო. განა ერთი ვირის წანახედი ექვსი თუმანი გადაახდევინოს კაცმა? მეღუქნეებს მეორე დღესვე პრისტავი წაეყვანათ.

მეთვალყურე.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

განცხადებანი

ქვრივი გარდაცვალებულის იაკობ ლაზარიშვილისა ამ ჟამად იმყოფება ქ. ტფილისში და აცხადებს, რომ იგი ჰყიდის თავისს მეუღლის ქართულს პიესებს, სახელდობრ: „მტარვალი“, „მამა“ და „ლანდი“. მსურველმა მიჰმართოს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას.

ელისაბედ ლაზარიშვილისა.
(3—1)

რედაქციისაგან

შეღავათიანი განცხადებანი

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია იმ პირთ, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: **სტრიქონი პირველ გვერდზ 3 კაპ.** (ორი შაურის მაგიერად) და უკანასკნელ გვერდზე **2 კაპ.** (შაურის მაგიერად).

ცნობილის ფაბრიკის

როიალები

პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
Музыкальное депо
Б. М. Мириманяна.
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинс
Дворянства.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Іюня 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.